# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ზ. ხიდეკელის გაზეთის საავენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი ღ. სარაჯიშვილისა. ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

შვედურის სპიჩკებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

გ. ზ. ტერ-ასატუროვისა და კº.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—1)

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

თამარიანი

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ფასი 60 კაპ. (10—2)

ტფილისი, 28 ნოემბერი

მომავალის წლიდამ ქართულს ენაზედ გვექნება ახალი სამეურნეო გაზეთი, რომელიც კვირაში ერთხელ დაიბეჭდება და სახელად ერქმევა «მეურნე». რედაქტორი ამ გაზეთისა იქმნება ბ-ნი ვ. სულხანიშვილი. მოუთმენლად ველით 1888 წლის იანვარს, რომელმაც უნდა შეჰმატოს ჩვენს ღარიბს მწიგნობრობას ახალი ორგანო საბეჭდავის სიტყვისა. მოუთმენელობის საბუთი მარტო ის-კი არა გვაქვს, რომ აი ქართულს ენაზედ ერთი გაზეთი კიდევ შეემატება ჩვენს სიღარიბესაო. მეორე საბუთი უფრო ძრიელი გვაქვს და ეს საბუთიც გახლავთ დღევანდელ ქართულ მეურნეობის უძლურება და უკან დახევა. ჩვენი ქვეყანა უმთავრესად მეურნეობითა სცხოვრობს და ქართველს ხვნა-თესვითა და ბაღოსნობა-მევენახობით უდგას სული. მეურნეობის დაცემა თანაბარია ჩვენის დასუსტებისა და დაუძლურებისა, ხოლო იმავ მეურნეობის აყვავება და გაძლიერება მომასწავებელია ჩვენის ქვეყნის წარმატებისა და გამდიდრებისა.

ამ აზრზედ ყველანი დაგვეთანხმებიან და, მაშასადამე, არც იმასა ჰყოფენ უარს, რომ ჩვენში ეხლაკი არა, დიდი ხანია არსებობს აუცილებლობა სამეურნეო მწიგნობრობის არსებობისა და გავრცელებისა, თუმცა აქამომდე-კი თითქმის არა მოიპოვება-რა ჩვენში ამ გვარის საჭიროების დამაურვებელი. მართალია, მიხვედრილმა ქართველებმა კარგა ხანია იგრძნეს მეურნეობის მნიშვნელობა ჩვენშია და ამის გამო კიდევაც მოჰკიდეს ხელი სამეურნეო გაზეთების ბეჭდვასა, მაგრამ ეს გაზეთები როგორდაც კუდიან ვარსკვლავებივით გამოჩნდებოდნენ ჩვენს შორის და შემდეგ ისევ კუდიან ვარსკვლავებივითვე განჰქარდებოდნენ. მიზეზი ამ ამოსვლისავე უმალ ჩაქრობისა იყო, რასაკვირველია, არა უადგილობა სამეურნეო გაზეთისა ჩვენში, არამედ ისა, რომ ამ რთულს საქმეს ხელსა სჭიდებდნენ ისეთი კაცები, რომელთაც ან ჩვენებურის მეურნეობის ათას გვარი მოთხოვნილება არა ჰქონდათ საქმით შესწავლილი და თვალით დანახული, ან სრულიად უცოდინარნი იყვნენ. ამის შედეგი ის იყო, რომ მხვნელ-მთესველს არა ჰქონდა ხალისი ყური ეგდო ან უცოდინარის საუბარისათვის, ან ჩვენის მეურნეობის არამცოდნე მოამბისათვის.

ამ სახით, აქამომდე ჩვენს მხვნელ-მთესველს ვერ მიუდგა სამეურნეო მწერლობა და არც მხვნელ-მთესველი-და მიეკარა მისკენ მიმართულს მწერლობასა.

მომავალ წელს, როგორც ზევითა ვსთქვით, უნდა დაიწყონ გაზ. „მეურნე“. წინ არა-სანუგეშო მაგალითები გვიდგა წარსულისა, მაგრამ მაინც ამითი ჩვენ სრულებით არა ვკარგავთ იმედსა, რომ ქართულს სამეურნეო გაზეთს ჩინებული მერმისი მოელის, რადგან დიდს საჭიროებას შეადგენს ჩვენის მხვნელ-მთესველისათვის და საზოგადოდ მეურნისათვის.

საქმე მხოლოდ იმაზედა ჰკიდია, როგორ აასრულებს გაზეთი თავის დანიშნულებას, როგორ გასცემს პასუხს საჭიროებათა, რომელნიც დღეს ასრე საგრძნობელია ჩვენში.

ყველანი აშკარად ვხედავთ, რომ ჩვენებურს მეურნეობას არ უჩანს წარმატების ნიშან-წყალი. ვხედავთ, რომ ზოგი ნაწილი ჩვენის მეურნეობისა სდგას ერთს წერტილზე და ფეხს არც უკანა და არც წინ არ იცვლის,—ზოგი ნაწილი-კი დღითი-დღე სულ უკან-უკან მიდის, ჰსუსტდება და ბოლოს ჰქრება. ვის არ ახსოვს, რა აყვავებულს მდგომარეობაში იყო ფუტკრის მოვლა, აბრეშუმის მოყვანა და თამბაქოს საქმე კახეთშია და ქიზიყში. ვის არ გაუგონია კახეთის დაცემულ, ვაკე ადგილების სახელები—„ბამბიანიო“, „ბრინჯიანიო“ და სხვანი. სად-ღაა ბამბა, სად-ღაა ბრინჯი. სახრავი წასულა და მარტო სახელები-ღა შერჩენია ადგილებს, საცა ოდესღაც ბამბაც ჰთესილა და ბრინჯიცა. ჩვენს შორის ეხლაც რამდენს შეჰხვდებით, რომელთაც ახსოვთ ის დრო, როდესაც კახეთის აბრეშუმეულობას ისეთივე გავარდნილი ხმა ჰქონდა, როგორც დღეს კახურ ღვინოსა აქვს!

რა კახეთი და ქიზიყი გინდათ! აიღეთ ქართლი, იმერეთი, გურია და სხვა ადგილები. თითქმის ყველგან თავისებური, ადგილის თვისებასთან და ჰავასთან შეთანხმებული, შტო მეურნეობისა იყო გაძლიერებული. სამეურნეო მწერლობამაც სწორედ ამას უნდა ჩაჰკიდოს ხელი და გააგებინოს ქართველ საზოგადოებას, რა მიზეზმა მოსპო ბევრგან ჩვენში ფუტკრის მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, შინაური მრეწველობა და ხელ-საქმე. ეს არის თავი-და-თავი საგანი სამეურნეო გაზეთისა. შემდეგ, რაკი მიზეზები უტყუარად და მეცნიერულად იქმნება გამოკვლეული, აღარ გაძნელდება თვით ღონისძიების გამოჩენა, რომ სხვა-და-სხვა შტო მეურნეობისა ხელ-ახლად გამოცოცხლდეს, მოღონიერდეს და გაძლიერდეს. და თუ ჩვენი მცოდნე მეურნენი მოახერხებენ ჩვენებურ ცოდნას შეაშველონ დაწინაურებულ ხალხთა გამოცდილება და მეცნიერების მოძღვრებანი,—ამით უფრო დიდს ძალასა და ფხას მისცემენ თავიანთ ნაწერებსა.

აქ უნდა ეძებოს „მეურნემ“ თავისი ძალა და ღონე, აქ უნდა

# ფელეტონი

## ამბავი ერთის მოხუცისა,

### რომელსაც სახელად გლახა ერქო და გლახაკობით ჰცხოვრებდა.

(ვუძღვნი პატიოსანს და ჩემს გულითად მეგობარს პ. უმიკაშვილს)

(დასასრული*)

ამისთანა შემთხვევა, რასაკვირველია, საიდუმლოდ არ დარჩა და მოედო მთელ ქვეყანას; ბევრი ილაპარაკეს; ზოგმა ერთი ჰსთქვა და იფიქრა, ზოგმა მეორე, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა მსხლის ახლო გავლა. გლახა ევედრებოდა ღმერთს და ჰლოცავდა იმ ორ მოხუცს, რომელნიც იმას ეწვივნენ. მსხლის სრულ მოსავალს თავისათვის ჰკრეფავდა, ალარავინ ეტანებოდა და თუმცა ეს მოსავალი და ნათხოვარი პური დიდ ფართი-ფურთში ვერ შეიყვანდა, ძლივ-ძლივობით აცხოვრებდა, მაგრამ ბედს იმითი ემადლიერებოდა, რომ მოსვენებით და მყუდროობით ატარებდა ცხოვრებას.

ბევრმა დროებამ გაიარა ესე, ბევრი რამ ცვლილება და ახალი მოხდა გარემო, მაგრამ გლახა ყურს არაფერს ათხოებდა, არას დაეძებდა, მშრალის ლუკმის, წყლისა და თავის და მსხლის გარდა. ერთხელ, ამ მყუდროობაში, ვიღაცამ გლახას კარები დაუკაკუნა; გლახას მეტად გაუკვირდა, თუ ეს ვის მოვგონებივაროო; წამოხტა, გაალო კარები, მაგრამ შენმა მტერმა ნახოს ის სანახავი, რაც იმანა ნახა:—კარებ წინ წამოსდგომოდა სულთამხუთავი თავის საშინელის ცელით და დაკრეჭილის კბილებით!.. გლახამ, შიშის მაგიერ, მხიარულება გამოიხატა სახეზედ, მიესალმა სულთამხუთავს, გულ-გრილად და გაბედვით გაავლო თვალი თვალში და გადაუხადა მადლობა მობრძანებისათვის, რომ დახსნას ამ წუთი-სოფლის წვალებათა და მოყივნებათა. სულთამხუთავი მეტად გაუუკვირდა ამ გულ-გრილობასა და შეჰსძახა:

— განა შენ ჩემი არ გეშინიან! არ მიცნობ ვინა ვარ!... რაც ქვეყანა გაჩენილა, ჯერ არ მინახავს იმისთანა არავინ, მწყემსიდან ხელმწიფემდინ, რომ მე კანკალით და ცახცახით არ დამხვედროდეს! შენ-კი ეგრე გულადად მიცქერ სახეში! ეს რა ამბავია!

— ან რად უნდა მეშინოდეს, ან რატო არ გიცქერო, მიუგო გლახამ: რა მაბადია ქვეყანაზედ იმისთანა, რომ იმისი დატოვება დამნანდეს! არც ცოლი, არც შვილი, არც ძმა და არც მეგობარი მე არა მაბადია-რა ქვეყანაზედ; აი ჩემი ავლა-დიდება, ეს დაქცეული ქოხი და ეს ერთად-ერთი მსხლის ხე! ამისათვის მოვეჭიდო ამ ქვეყანას და გავხდე ურჩი ბედის წერისა! არა, ჩემო ლამაზო, ჩემ მოქარბებულ მოხუცებას აღარ შეჰშვენის მჭარე და მუხთალის წუთი-სოფლის სიყვარული!

— მაშ არაფრის სინანული და სურვილი არა მოგდევს თანაო? ჰკითხა სულთამხუთავმა.

— არა, ჩემო ბატონო... თუ არ დაგიშლია, გაგილებ გულსა და გეტყვი, რა უსუსური და მსუბუქია ჩემი სურვილი... ჩემ გრძელ სიცოცხლეში მადლიერობის ღირსად არავინ არ მიმაჩნია, ამ უსულო ხის მეტი, აი ამ ქოხს ახლო, რომელსაც შენ თითონვე ხედავ, რა მშვენიერი მსხლები ასხია! ეს იყო ჩემი მკვებავი; ჩემი ძუძუს მაწოვებელი! ამდენის წლის განმავლობაში დაუშურებლივ მაძლია ამ ხემ ღვთის-მოწყალება, მაგრამ თავის დღეში არც საყვედური შემიტყვია ამისაგან, არც მრუდე თვალით შემოხედა მინახავს! თუ სადმე სამართალია, ამას უნდა დავემშვიდობო წმინდა გულით, ვუთხრა მადლობა და საუკუნო სახსოვრად შევსჭამო ერთი იმისი ნაყოფი, თუ შენ არ იწყენ.

— შენისთანა გულად და მადლიერ კაცს მაგისთანა უბრალო სურვილის ასრულებას ვერ დავუშლი, უპასუხა სულთამხუთავმა.

გლახამ მეტი აღარ უცადა. მოავლო ჯოხს ხელი სასროლად, დაუტრიალდა მსხალს, თითქო უკეთეს ნაყოფს ირჩევდაო, და სთქვა:

— ადრე კიბეს მივუდგამდი ხოლმე, ზედ ავიდოდი და ხის შეუწუხებლად მოვსწყვეტდი მსხალს; ბოლოს, რაკი სიბერე მეწვია, ჯოხს ვესვრი, საწყალ ხეს ტოტებსაც ვამტვრევ, მსხალიც დაჟეჟილი და წვენ ნაკლები ჩამომივარდება ხოლმე; ხელით მოწყვეტილს-კი უკეთესი გემო უნდა ჰქონდეს.

— რაკი ეგრეა და სიკეთეს გიშვრები, მარილსაც მოვაყრი: მე თითონ ავალ ხეზედ და მოგიწყვეტ იმ ნაყოფს, რომელსაც შენ მანიშნებ, ჰსთქვა სულთამხუთავმა და ამის თქმისასვე აცოცდა ხეზედ, მოსწყვიტა ნაჩვენები მსხალი და კალთაში ჩამოუგდო გლახას, რომ არ დაიჟეჟოსო.

გლახამ გაჰკრა ხელი მსხალს, მიიტანა პირთან საჭმელად და ცბიერ დაცინებით დაუწყო ცქერა სულთამხუთავს. ეს ბატონი ერთი სხვა ნაირად აქანებდა ხეს, თითქო დაბლერტას ჰლამობდა, მაგრამ მიზეზი ქანებისა სულ სხვა რამ იყო: რა სულთამხუთავმა მსხალი მოსწყვიტა და ჩამოსვლა დააპირა, ვერც ხელი და ვერც ფეხი ეღარ აჰგლიჯა ხეს; ამ აგლეჯის ცდა და ცოდვილება აქანებდა ხეს. ბოლოს, რომ ვერა გააწყო-რა, გადმოხედა გლახას და უთხრა:

— ბებერო, ეს რა ანბავია?

— მე არაფერ ანბავს არა ვხედავო, მიუგო გლახამ.

— ბებერო! მაგ ცბიერებას და ეშმაკობას თავი დაანებე, თორემ იცი რას გიზამ! დაიყვირა სიკვდილის მთავარმა.

— ეშმაკიც შენ და ცბიერიცაო! მიუგო გლახამ. მუქარება-კი სხვებისათვის შეინახე, თორემ მე ყურსაც

*) იხ. „ივერია“ № 249.

სძლიოს ყოველი გაჭირვებანი და თუ ამაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი, მაშინ ჩვენის სოფლის უმთავრესი საკითხავი წიგნი შეიქმნება ისა, სადაც ამ გვარ საგნებზე იქნება სჯა და ბაასი.

მეორე უმთავრესი საგანი „მეურნისა“ უნდა იყოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება და იმისი ავი და კარგი. ყველამ ვიცით, რომ ხსენებულს საზოგადოებას შეადგენენ არა ისინი, ვინც სამეურნეო საქმეს მისდევს, არამედ უმეტესად კაბინეთის დილეტანტები, რომელთაც სამეურნეო საგანთა შესწავლა დროების გასატარებლად უფრო მიაჩნიათ, ვიდრე გულ-ღვიძლზე მოჭიდებულ საქმედ. ამიტომაც იგი საზოგადოება, რომელიც თავის მნიშვნელობისა და ბუნებისამებრ შუა-მავალი უნდა იყოს ქვეყნის მეურნეობისა და მთავრობის შორის, რათა ერთს მეორის საჭიროება და მოთხოვნილობა აცნობოს, მოკლებულია იმ გზას, საიდამაც პირდაპირ უნდა მოდიოდეს იმა საჭიროებათა და მოთხოვნილებათა ხმა. ამის სახსრად რომ ჩვენი ახალი გაზეთი გახდეს და რომ მან იკისროს შუამავლობა გაუწიოს ჩვენს მეურნეობას ხსენებულ საზოგადოების წინაშე, რათა ამ საზოგადოებას ჭეშმარიტი საბუთი ჰქონდეს თავისის მხრით იშუამდგომლოს წინაშე მთავრობისა, — ეს დიდი სამსახური და ღვაწლი იქმნება გაზეთის მიერ. ამისათვის სანატრელია, რომ გაზეთმა მოიმხროს რაც შეიძლება მომეტებული ნაწილი ჩვენის სოფლის მეურნოების მიმდევართა და იმათის შემწეობით ჭეშმარიტი და ნამდვილი ცნობანი და საჭიროებანი ზედ აღიბეჭდოს ხოლმე საყოველთაოდ საცნობელად.

ვისურვებთ, რომ ჩვენი ახალი მოძმე „მეურნე“ შესწვდეს ღირსეულად თავის მძიმესა და რთულს საგანსა და ჩვენს ქვეყანას დაანახვოს, რომ ადგილის ვითარების ზედ-მიწევნით ცოდნა, მეცნიერობის მოშველება, სხვათა ერთა გამოცდილებით ხელმძღვანელობა რა ძლიერი ღონეა კეთილდღეობის გაძლიერებისათვის.

თ—ძე

## ახალი ამბავი

*** სატახტო გაზეთებში ვკითხულობთ, რომ მოკლე ხანში ელოდებიან თავად დონდუკოვ-კორსაკოვს პეტერბურგში. ბ-ნი მთავარ-მმართებელი თურმე მიწვეულია სახელმწიფო საბჭოში, სადაც განიხილებიან საქმენი კავკასიის შესახებ. სხვათა შორის განხილულ იქმნება პროექტი სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ბ-ნ ოსტროვსკისა მასზედ, რომ გაძლიერდეს კავკასიაში აბრეშუმის მოყვანა; განიხილება აგრეთვე ბ-ნ იუსტიციის მინისტრის წინადადება, რომ ჩქარა გაიმიჯნოს კავკასიაში მამულები და გათავდეს დაუბოლოვებელი დავა მამულების პატრონთა შორისაო.

*** გორის მაზრის უფროსი დაჰპირებია ქარელ გაღმა მემამულეთა, რომ ვეცდები ცხინვალის გზა ქარელის რკინის გზის სადგურამდე გაკეთდეს სოფელ საღოლაშნიდამაო. მემამულეთ ყოველ გვარი შეწევნა აღუთქვამთ ამ საქმეში და ისიც უცნობებიათ, რომ ცხინვალის გზა-ტკეცილი ალაგ-ალაგ უნდა შეკეთდეს, რადგან ხალხის უყურადღებობით ძალიან გაფუჭებულია ის მშვენიერი და ახლად გაკეთებული გზა-ტკეცილიო.

*** აბაშიდამ გვწერენ: აბაშა დაბად არის ეხლა დამტკიცებული. ყოველ წელს ბაზრობაა დაწესებული ენკენისთთვის პირველიდამ რვამდე. ყოველ პარასკეობითაც საპარასკეო ბაზრობა იმართება. პარასკეობით აბაშაში მოჰყავთ პირუტყვი საქონელი და ჰყიდიან. დაბა აბაშაში ლამ-ლამობით ფარნები ანთია. კარგად აშენებული ხის დუქნები საკმაოდ ბევრია. შიგ ალაგია ყოველ გვარი სავაჭრო ფარჩეულობა. ერთი დიდი ნაკლებულობა ჩვენის დაბისა ის არის, რომ გზებია უვარგისი. აქაურს მთავრობას უნდა გლეხები გამოიყვანოს გზების გასაკეთებლად,.

*** იქიდამვე გვწერენ: სუჯუნის გზა ერთს ადგილას ძალიან გაფუჭებულია. იმ ალაგას ბოგირი არ არის და ფაეტონი და ეტლები დიდის გაჭირებით დაჰყავთ.

*** აბაშის რკინის გზის სადგურზედ, გვწერენ ჩვენ, გახშირდა ჯიბგირობა. ამას წინად აქაურს მთავარდიაკვანს ამოაცალეს აქ ჯიბიდამ 15 მანათი ფული.

*** ახალ-ბაიაზეთიდამ გვწერენ: აქაურს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიას, როგორც ამბობენ, მერმისს თიბათვეში აკურთხებენო. ეს ეკკლესია ქვითკირისაა და კოხტად არის აშენებული ძალიან კარგს ალაგას, სახელდობრ, საქალაქო ბაღის აღმოსავლეთს კუთხეში.

*** ანჩისხატის უბანში, «ობჩესტვენის» ქუჩა საშინელს სიბინძურეშია; ოქრომჭედლის ქუჩის გადასახვევთან გზა თითქმის ნახევრობამდე შეკრულია ნაგვით. ამ ქუჩაზე ქვაფენილიც სრულებით ამოყრილია და გაფუჭებული. ეგზარხოსის მოედნის ქვევით სიონის ვიწრო ქუჩაც საშინელის სიბინძურით არის სავსე.

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ის სიტყვით, 27 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში ირჩეოდა საქმე შესახებ ყალბის ფულების გამსაღებლებისა ტფილისში 1884 წელსა. სამართალში მიცემულ არიან თელავის მოქალაქე გრიგოლ ჩიტაევი, ტფილელნი—მიხეილ მირეხოვი, ლევან ბერძენოვი, ახალ-ციხელნი—იაკობ დურგანოვი, გიორგი სამსოლიძე, ლუკა საბოევი და ილია სარანიძე. ჰბრალდებათ საზღვარ-გარეთიდამ მოტანა თუმნიან ბილეთებისა და გასაღება ამიერ-კავკასიაში.

*** ორშაბათს, 30 ნოემბერს, ქალაქის საბჭოში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) წინადადება ქალაქის თავის შესახებ 50 წლის იუბილეისა გენერალ-ადიუტანტის თავად ლ. ი. მელიქიშვილის სამსახურისა.

2) წინადადება ქალაქის თავისა შესახებ 1888 წლის ხარჯთა აღრიცხვისა.

3) მოხსენება გამგეობისა შესახებ მტკვარზე ჩასავალებისა.

4) აზრი ხმ. დ. ზ. ყორღანოვისა მასზედ, თუ რა წესით უნდა აწარმოოს ქალაქმა მილის წყლის მოხმარება.

5) წინადადება ბელგიის კომპანიის რწმუნებულის მელვინიშვილისა მასზედ, რომ ათის წლით მიანდონ კომპანიას რემონტი მილებისა.

6) მოხსენება გამგეობისა წყლის გაყვანაზე საინჟენერო მილის წყლიდამ ყორღანოვის სახლში, საცა ჯარები დგანან.

7) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ გაკეთდეს მცირე სადგური ავლაბრის იქით და დახურული ბაქანი არსენალთან.

8) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ მიეცეს საქალაქო მიწა მიხეილ ბატაშვილსა თანახმად გარდაწყვეტილობისა, რომელიც დაადგინა ყოფილმა ქალაქის საზოგადო კრებამა, და თანახმად საბჭოს განაჩენისა.

9) თხოვნა ლევან ისარლოვისა მასზედ, რომ აღეკრძალოს ვაჰარს ბაინდუროვს რკინეულობის დაწყობა თავის მაღაზიის წინა.

10) თხოვნა ევქილოვთა რწმუნებულის ყორჩიბაშევისა და საჩივარი გამგეობაზე, რომელმაც უარ-ჰყო შენობის პროექტი.

11) თხოვნა ნიკოლოზ სტეფანოვისა და დავით კირაკოზოვისა მასზედ, რომ მიეცეთ ნება ქუჩის მხრივ შემოღობონ სახლი კრუზენშტერნის ქუჩაზე.

12) ოქმები საქალაქო გამსესხებელ კასსის რევიზიაზე ივნისსა და აგვისტოში.

13) აზრი ხმ. კალოუბნელისა მასზედ, რომ აღეკრძალოთ მიხეილის ქუჩაზე გაყიდვა კუბოებისა და სასაფლაოვო ძეგლებისა.

14) მოხსენება გამგეობისა ქერივის ჰრელაშვილის თხოვნაზე შესახებ იმისა, რომ ნაწილი ვალისა გადატანილ იქმნას დამხმარებელ თანხის ანგარიშში.

15) პასუხი ტფილისის პირუტყვთა მკარველ საზოგადოებისა შესახებ მაწანწალა ძაღლების გაწყვეტისა და ცხოველთათვის თავ-შესაფარის გამართვისა.

16) აზრი ხმ. მ. ი. თამამშოვისა მასზედ, რომ დაინიშნოს კომისია განსახილველად შეუტანელის გარდასახადისა.

17) აზრი ხმ. თავ. ბებუთოვისა მასზედ, რომ დოლეზედ აიხსნას ტოტალიზატორი.

18) აზრი ხმ. თავ. ბებუთოვისა ლორის-მელიქოვის სტიპენდიებზედ.

19) მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა მასზედ, რომ დაიწყოს თვისი მოქმედება საზოგადოებამ, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს საქალაქო სასწავლებელთა ღარიბ შეგირდებს.

20) თხოვნა თავ-მჯდომარისა დეპუტატთა, რომელნიცა სინჯავენ გამსესხებელ კასსებსა, მასზედ, რომ დაინიშნოს ხარჯი დეპუტატთა მისვლა-მოსვლისა და კანცელარიის გასავალისა.

21) აზრი გამგეობისა შესახებ იმისა, რომ ქალაქის თავი დაეთხოვებოდეს ხოლმე თანამდებობის აღსრულებასა.

22) თხოვნა ცხენ-მავალის მმართველობისა მასზედ, რომ მუქთად გაატაროს ვაგონის ცხენები ვერის ხიდზე.

23) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ შეივსოს ინსტრუქციები შესახებ ქალაქის სამკურნალოს მართვისა.

24) მოხსენება გამგეობისა შესახებ სხვა-და-სხვა ეტლებისა.

25) მოხსენება ქალაქისა მასზედ, რომ მიეცეს 29 კაცს მოწმობა მიწების შესყიდვისა.

### წერილი ქსნის ხეობიდამ

წელს მთელს ხეობაზე ნაკლები ღვინის მოსავალი იყო. მიზეზი მო-

---

ვერ გამაბლერტინებ! შე ოხერო, მახეში შენ გაბმულხარ და მევე გინდა შამაშინო! რა ბრიყვი და უმეცარი მე მნახე; თუ საქმე მუქარებაზედ მივარდება, ვნახავთ, ვინ უფრო ვის რას უზამს!... ვნახოთ, თუ ცხვირიდამ არ ამოგაშხამო ის ურჯულობა და უსამართლობა, რომელიც შენ გაგიფანტავს დედამიწის ზურგზედ! აქაო და სიკვდილის უფლება მამცესო, ერთობ დაგვიწყებია სინიდისიც და სიმართლეც!... რამდენის ავაზაკისათვის ჯილავი მიგიგდია და ამტუტებინებ ქვეყანას! რამდენის ობლისა და ქვრივის დამჩაგვრელი შეგიყვანია ფუფუნებაში და პატივოსანი, დილიდან საღამომდისინ შრომის ოფლში მცურავი, ღვთისნიერი კაცი სიცივით, შიმშილით მოგიკლავს და ჰკლავ! რამდენ მოსამართლეს ქრთამით აცხოვრებ, დავრდომილს და უმანკოს ფეხ ქვეშ ასრესინებ! აი წახვიდოდი იმ ავაზაკებს, იმ მჩაგვრელებს, იმ უსამართლოებს ანგარიშს მოსთხოვდი, სულს ამოჰხუთავდი, რომ მიმბაძავი აღარ ეპოვნათ! ამას ქვეყანაც დაგიმადლებდა და ღმერთსაც აამებდი! ამის მაგიერ მოსულხარ ჩემთან, სულს მართმევ!.. მითომ რაო! მე ვის რა დავუშავე, ვის რა წავართვი, ან ვინ დავჩაგრე? ჩემი ავლა-დიდება შეგშურდა?.. არა, ჩემო ბატონო, კმარა ამდენი შენი უგვანობა! ღვთის ძალით ხელში მიგდიხარ, ბევრს აღარ გაგაყვინიზებ და დავხსნი ქვეყანას შენის სიმურდლისაგან! ასძახა გლახამ.

სულთამხუთავმა ყველა საყვედური, რაც გლახამ გამოსთქვა, მოისმინა და სიწყნარით უპასუხა:

— შენი ნათქვამი, მოხუცო, სულ მართალია: სიკეთისათვის ყოველთვის სიკეთეს არ უნდა მოელოდნენ; რაც მე დამემართა, ჩემზედ სამართალია; მე თავის დღეში ის სიჩვილე არავისათვის არ მიმიგია, რაც დღეს შენ მოგაგე და, მადლობის მაგიერად, აი რა მომდის!.. რაც უნდა იყოს, მე არ ვინანი შენის სიკეთის ყოფას, მაგრამ შენც უნდა გახსოვდეს, რომ ყველა ჩემი ქცევა განგებისაგან არის განწესებული და თუ ამავე განგებას, როგორც ეხლა ვხედავ, შენთვის მოუნიჭებია ის ძალა, რომელსაც ჩემზედა ხმარობ, ნუღა გადააჭარბებ, წრეს ნუ გადახვალ, თორემ მოგხვდება სიმწარე.

— წელანაც გითხარ, მიუგო გლახამ; მუქარებას თავი დაანებე; მე შენი, სიკვდილისა, არ მეშინიან. ჩემს სინიდისს არა ჭუჭყი არა აძევს-რა და ამიტომ სიკვდილს რად შევუშინდები! განგების წინააღმდეგობა მე ჰაზრადაც არ მომივა; თუ სამდურავი ვთქვი, მე ეს შენ გითხარ და არა განგებას!

— მე ვხედავ, ჰსთქვა სიკვდილმა, რომ დღეს მე იმისთანა ტლაპოში შევხეტებულვარ, საცა არ უნდა შემეტოპნა, მაგრამ მოთმინება მელევა და შენი კერპობა მაწყენს. ხუმრობას თავი დაანებე, გამიშვი. ქვეყნის ოთხკუთხეს იმისთანა საქმეები მომელის, რომელნიც დღეს მზის ჩასვლამდისინ უნდა ავასრულო; შენ-კი აქ რაღაც ლობე-ყურეს ედები. ცის ბორბლის დაყენება გინდა!.. ჰკვას მოდი, გლახავ, თორემ ინანებ!

— ღვთის განგება რომ არ იყოს, არც შენ იქნებოდი მაგ ყოფაში, არც მე; ამიტომაც შენ სიტყვებს მე სულ ჩალის წონადაც არ მივიღებ! გაქვს სათქმელი, ჰკვიანური, შენის ყოფის შესაფერი,—ჰსთქვი, მოგისმენ; დანარჩენი ტყუილია, კილოკანტურობას თავი დაანებე, ჩემთან არა გაგივაო, უპასუხა გლახამ.

რა სულთამხუთავმა დაატყო, რომ, ერთის მხრით, გლახასთან არც მუქარება გაუვიდოდა, არც დარიგება; მეორეს მხრით, დროება ეკარგებოდა და აუარებელი საქმეები ჰრჩებოდა შეუსრულებელი, მეტი გზა აღარა ჰქონდა, უნდა სხვა სახსარისათვის მიემართა; ამისათვის ენა გამოიცვალა და უთხრა გლახას:

— შენი სიმკვიდრე, გულ-მაგრობა მეტად მაკვირვებს, გლახავ! მე თავის დღეში ვერ მოვიფიქრებდი, რომ ამისთანა დანგრეულ ქოხში ეგეთი სულგრძელი და შეურყეველი მცხოვრები ყოფილიყო! დამიჯერე, გლახავ, რომ აქამდისინ, რაც ქვეყანა ქვეყნობს, სიკვდილი, სულთამხუთავი არავის არ დაუმარცხებია; შენ-კი ეხლა დამამარცხე და გამხადე მახვეწარი! ეს შენ გეყოფა საუკუნოდ შენდა სასახელოდ; ეხლა ინებე ჩემი აქედგან დახსნა; ცხრა მთას იქით ერთი მომაკვდავი დედოფალი მიცდის და ერთს საათს უკან უნდა უეჭველად ვეწვიო. თუ შენ ამ ვედრებას ამისრულებ, გაძლევ სიტყვას, რომ მე შენ ჩემ პირს აღარ გიჩვენებ უკანასკნელ განკითხვის დღემდისინ, და მაშინაც გეწვევი შემდეგ, როდესაც ყველა სულდგმულს მუსრს გავავლებ.

— დავიჯერო შენი სიტყვა, თუ მივაწერო ცბიერებას და სურვილს ჩემის მოტყუებისას? ჰკითხა გლახამ.

— ერწმუნე, გლახავ, იმ ზენაარსსა, რომელსაც მეც და შენც, ორნივე, ვემონებით, რომ სულთამხუთავის სიტყვა და ფიცი არის მტკიცე და შეურყეველი, მიუგო სიკვდილმა.

— რადგანაც ეგრეა, ჰსთქვა გლახამ, მომიცია ნება მაგ ხიდვან დახსნისა;— წადი, საცა გინდოდეს!

ამ სიტყვების შემდეგ, ხე მოეშო სულთამხუთავს. სულთამხუთავმა გაშალა თავისი უზარმაზარი და საშინელი ფრთები და თვალის დახამხამების უმალ მიეფარა ცის სივრცეს.

მას შემდეგ ბევრ დროს გაუვლია, სიკვდილი ბევრჯელ ყოფილა გლახის ქალაქში, თვით იმის ახლო მეზობლის სახლშიაც, მაგრამ თავისი პირობა არ შეუცვლია და გლახის ქოხს ახლოც არ გაუვლია. გლახა გულ-დადებული მისცემია სიმყუდროვეს; სცხოვრობს სიგლახაკეში თავის სასურველ მსხლის მოწყალებით და უეჭველია, რომ სულთამხუთავი არ დაარღვევს თავის პირობას და მეორედ მოსვლამდისინ როგორც გლახას, ისე სიგლახაკეს არ მოეღება ბოლო. მთელის მილეთის ხალხი მოდის და ჰხედავს გლახას; ამ ამბის დამწერსაც ბევრჯელ უნახავს ის თავის თვალით, უნახავს აგრეთვე ამის მთარგმნელსაც.

ი. ო.

სავლობისა ვაზის აშუშვა და გაჭკნობაა. ვაზს მთლად შეახმა ფოთოლი; მთელს ხეობაზე ძნელად თუ რომელსამე ვენახს შეხვდებოდა კაცი, რომ ეს ავადმყოფობა არა ჰქონოდა მოდებული; ხალხმა არ იცის, რა სენია ეს სენი, უწოდებენ „ვაზის ჭირს“. მომწრე არავინ არის ამ გვარის ვაზის სენისა.

აგრონომი ბ-ნი გეევსკი ურჩევს ხალხს გაზეთის საშუალებით ამ სენის მოსასპობლად: ვენახის გაცვივნული ფოთოლი მოაგროვეთ და დასწვით და ან ვაზი ზამთრობით მიწაში დამარხეთო.

ბ ნი პ. ყ—ნი ამბობს: ამ სენს „პერენესპორა“ ჰქვიანო და ბევრი სხვა-და-სხვა გვარი წამალი აქვსო, მაგრამ უკეთესი საშუალებაა და იაფიც არის ესრედ წოდებული „ციური წყალი“, რომელიც ამონიაკის და გოგირდიანის სპილენძის შერევით წარმოსდგებაო. აქ ავწეროთ, განაგრძობს ბ-ნი პ. ყ—ნი, იაფსა და სადა მაშინას, რომლის საშუალებითაც უნდა აპკუროთ ვაზის ფოთლები და სხვა-და-სხვა (იხ. „ივერიის“ № 226).

ეს ყველა კარგი და პატიოსანი. ორივე პატივცემულნი მრჩეველნი მადლობის ღირსნი არიან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გლეხობა ვერ გამოიყენებს ამათ რჩევას. ამის მიზეზი პირველად ის არის, რომ კითხვა არ იციან და იმისთანა კაციც იშვიათია გლეხობაში, რომელმაც აიღოს გაზეთის ფურცელი, წაუკითხოს და დაარწმუნოს, თუ შეიძლება თვით საქმით, რა საკეთილოა დარიგება მცოდნე კაცებისა. ეს მხოლოდ შეიძლება მაშინ, ქართული გაზეთი, რომ სოფლის კანცელარიებში მიდიოდეს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ძნელია, მეტადრე მდაბიო ხალხისათვის, მაშინების გამოწერა. ნულარ ვიტყვით სიღარიბეს, ხელ-მოკლეობას და დაუდევრობას, ხალხმა ისიც არ იცის, რა ღირს ესა-და-ეს მაშინა და ან საიდგან დაიბაროს და სხვა.

ჩემის აზრით, აუცილებლად საჭიროა მთავრობისა და საზოგადოების დახმარებით იღონოს ღონე ამ სენის მოსასპობლად თვით სამეურნეო საზოგადოებამ და არ მოერიდოს შეძლებისადა გვარად არავითარ დაბრკოლებას, სანამ ეს მავნებელი სენი ძვალ-რბილში არ გასჯდომია ჩვენს ვენახებს.

—

ქსნის ხეობაზედ საზოგადოდ ძრიელ მცირე მოსავალი იყო წელსა, და ნივთიერად მისუსტებულ გლეხობას ერთად-ერთი საშუალება-ღა აქვს, რომ ფოსტის ფულიც გაისტუმროს, მკვდარსა და ცოცხალსაც გაუძლვეს და ათას გვარი საჭიროებაც ასე თუ ისე დაიკმაყოფილოს.

ეს ერთად-ერთი საშუალება და წყარო გროშზე გროშის დადებისა არის შეშა, რომელიც მიაქვს ტფილისში და ჰყიდის. მაგრამ ამ წყაროსაც ათასი უბედურობა და დაბრკოლება თავზე დასტრიალებს: ჯერ ტყის შალბაში, ერთი დღე ყევარი ხარი და ორი კაცი მოჭრა-მოტანას უნდება შინ, სამი დღე ქალაქში ჩამოტანას, და ისიც რის ვაი-ვაგლახით იყიდება თორმეტ აბაზიდგან ჩვიდმეტ აბაზამდინ. აქ მკითხველი მიხვდება, რომ გლეხი არა თუ იგებს შეშის წარმოებაში, არამედ თავისსა და ხარ-კამბეჩის ხარჯს ვერა ჰფარავს, მაგრამ ამას აღარ სჩივიან, ოღონდ სხვა უარესი დაბრკოლება არ დახვედრებოდეთ ხოლმე გზაში. ეს დაბრკოლება გახლავთ ჩაფრებისაგან გლეხების ცემა გზაში და ურმების აქეთ-იქით ხრამებში გადაყრა; ამას მოსდევს ხარ-კამბეჩის და ურმის დამტვრევა, მაგრამ ამას კიდევ ჯანი გავარდეს, ხშირად თვით საცოდავი, უენო პირუტყვად გადაქცეული მეურმე გლეხი მაინც რომ იყოს დაფარული და პატივცემული.

ამ ოქტომბერშიაც სოფ. წეროვანში (დუშეთის მაზრა) მცხოვრებელს ბეჩავს ცოლ-შვილიან გლეხს, გიორგა ექვსშაურაშვილს, მიჰქონდა ამ გვარად ნაწვავ-ნადაგავი შეშა გასასყიდად ქალაქს, რომ ორიოდე გროში მოეგროვებინა იმ ფოსტის ფულისათვის, რომლისათვისაც დღეს სახლში ზეკუცია უდგას. მიატანა თუ არა საცოდავმა დილმის მინდორს, თეთრ დუქნის პირდაპირ, წამოეწივნენ ჩაფრები, რომელნიც ეტლს მოჰყვებოდნენ, და დაუწყეს უწყალოდ ცემა მათრახებით. მათრახისაგან გაბნედილი გლეხი ექვსშაურაშვილი ჩავარდა ურმის ქვეშ თავის შესაფარად, მაგრამ რადგანაც იქაც ვერ დაემალა გამხეცებულ ჩაფრების მათრახებს, გარეტიანებული წაიქცა, გადაუარა დაღებულმა ურემმა და ორს ადგილს გადაუმსხვრია მარჯვენა ფეხი. შეშა გადაეყარათ მშვიდობით გადარჩენილ გლეხებს და მეორე დღეს ფოსტის ფულის მოტანის მაგიერ ფეხებ-დამსხვრეული გლეხი მოიტანეს სახლში, საცა წიოკობით შემოეხვია უიმედოდ დარჩენილი ცოლ-შვილი.

დღეს ეს საცოდავი გდია ყოვლად უმწეოდ და ალპება ფეხი ცოცხალმკვდარს ადამიანსა.

მეთვალ-ყური

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნიგოითი** (ოზურგეთის მაზრა), 18 ნოემბერი. ნიგოითი შესდგება სამის პატარა სოფლისაგან და შეიცავს სამასს კომლამდე მცხოვრებს, რომელთა შორის უმთავრესი ნაწილი გლეხობაა და დანარჩენა-კი თავად-აზნაურობა. ნიგოითლები მეტად გულ-მართალი, მშვიდი, მდაბალი და დამჯერი ხალხია, თუ ვინმე კეთილს აგონებს რასმე. აქაურებში ნაკლებად შეხვდებით ავაზაკს, გარყვნილს კაცს, რომელიც ისე ხშირია ზოგიერთს სოფლებში. მხოლოდ, როგორც საზოგადოდ გურიაში, ნიგოითლებსაც სჭირთ ერთი სენი, რომელსაც „სიზარმაცის სენს“ ეძახიან და რომლის შედეგიც ჩვენი სიღარიბეა. ეს „სიზარმაცე“ და დაუდევრობაა, რომ ჩვენ ბოლოს გვღლებს, თორემ გაუჭირდებათ ნიგოითლებს?

ნიგოითის მიწის ნიადაგის სინოყივრე თუ სხვისას არა სჯობია, უკან მაინც არ ჩამორჩება. ნიგოითში შეიძლება ბევრი ისეთი რამ მოიყვანოს კაცმა, რომელიც ამ ჟამად არ მოდის და რომელიც სხვაგან არც-კი მოვა. ნიგოითის ჰავაც შეაწევს ყოველ-გვარს წარმოებას. ჰავა ნიგოითში ადამიანის სიმრთელისათვის მეტად ცუდია, მაგრამ მოსავლისათვის-კი მეტად კარგი. ამას გვიმტკიცებს წლევანდელი მოსავალი, რომელიც ისე უხვი იყო ნიგოითში და ისე ნაკლები და მცირე—მთელს იმერეთში

წლევანდელ გაზაფხულის სიცხეებმა ვერაფერი დააკლეს კერძოდ ნიგოითში და საზოგადოდ გურიაში სარჩო-მოსავალს.

როგორც სჩანს, ამ ბოლო ხანებში ნიგოითლები თან-და-თან ეჩვევიან შრომას და, იმედია, მომავალში უფრო წინ წავლენ და უკან არ ჩამორჩებიან თავიანთ თანამემამულეთ. თუმცა სახნავ-სათესი, საბალახო, ტყეა ყოველივე ეს საბატონო ნიგოითში, მაგრამ ისეთს გლეხს იშვიათად შეხვდებით, რომ ნახევარი წლევანდელის თავის მოსავლისა მაინც არ გაჰყიდოს. ეს კარგი იმედია და ჩვენც ვიმედოვნებთ შემდეგისათვის, რომ აქაურების ყოფა-ცხოვრება ბევრად წინ წაიწევს და განკარგდება.

ამ რამდენისამე წლის წინად, სანამ რკინის გზა გაივლიდა და ამ გზის სადგური აშენდებოდა ნიგოითში, დიდს სიღარიბეში იყვნენ ნიგოითლები ფულითაც და სარჩოთიც: თუ-კი ვინმე წლის სარჩოზე მეტს მოიწევდა, იმის გაყიდვის საშუალება-კი არა ჰქონდა უგზოობისა გამო და ისევ აქვე ასაღებდა ვინმე სოფლის მაწანწალა ვაჭრებზე ნახევარ ფასად. მაშ რა უნდა ექნა? ფული საჭირო იყო და თავისით ხომ არსაიდამ გაჩნდებოდა? აი, ამ გვარს სიღარიბეში იყვნენ ნიგოითლები, რომ დააარსეს სასოფლო სკოლა, რომელიც აქამომდე სწრთვნის მოზარდ ახალგაზდობას, აიშენეს ეკკლესია, გაიყვანეს გზები, ასე გასინჯეთ, წარმომადგენელსაც-კი ჰმართავდნენ და ხალხიც ბლომად ესწრობოდა. ერთის სიტყვით, იმ სიღარიბეში ყოველივე კეთილი საქმე უფრო ადვილად და იაფად სრულდებოდა.—დღეს-კი? რას ვხედავთ დღეს? რაც რკინის გზა გაიყვანეს ნიგოითში, ხალხი უფრო გამდიდრდა, უფრო შრომობს, მოქმედობს, მაგრამ მხოლოდ თავის საკუთარ მუცლისათვის-კი, ვინემ სხვა რომლისამე საზოგადო—კეთილ საქმისათვის. ზევითა ვსთქვით, ნიგოითლებს სკოლა აქვთო. დიახ მართალია, მაგრამ ეს ხომ სკოლა არ არის? სკოლა მხოლოდ სახელია მისი. შედიხართ ნიგოითის სკოლაში და რას ჰხედავთ? ფანჯრები წვიმას და ქარს გამოუღვია და ჩამოცვივნას ლამობს, ბუხრები დანაპრალებულა, სახლს სამირკველი დაღპობია და თვითოეულს ფეხის გადადგმაზე იატაკი ზანზარებს და კედლებს წკრიალი გააქვთ, გეგონებათ ეს არის ჩამოინგრევაო. სიცივეები უკვე დაიწყო, თუმცა ჯერ თოვლი არ მოსულა, ერთს ღერს შეშასაც-კი ვერ ჰნახავთ და საბრალო შეგირდები სიცივით კანკალებენ. მასწავლებელი შიშისაგან ვერ დამდგარა სკოლაში, არ დაინგრას სახლი, ან არა და არ გავცივდეო და სახლს დაეძებს დასაქირავებლად. ნუ თუ ამ რამდენისამე წლის წინად აშენებულს სკოლას შეკეთება არ უნდოდა? ასეთს მდგომარეობაშია ამ ჟამად ნიგოითის საერო სკოლა და თვით სკოლის დამაარსებელნი-კი ღრმა ძილში არიან და, თუ მთლად გაუქმებას არ უპირებენ, არც შეკეთებაზე ჰფიქრობენ. ერთის სიტყვით, თქვენა ჰხედავთ, რომ ხალხში სიმდიდრეს უმატნია, მაგრამ კაცურ-კაცობას-კი უკლია.

მართალია, სკოლას მზრუნველები ჰყავს ამორჩეული, მაგრამ მზრუნველები მხოლოდ სახელით არიან და არა საქმით. რა უნდა ჰქმნას მასწავლებელმა? ევედრება მზრუნველებს სკოლის შეკეთებას. ისინიც ჰპირდებიან, უარს არ ეუბნებიან, მაგრამ ბოლოს მასწავლებლის ვედრება რჩება „ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა“ და მზრუნველების აღთქმა-კი ჩაიღულის წყალსა სვამს.

აი ამ შესაბრალისს მდგომარეობაშია ამ ჟამად ნიგოითის სკოლა და ერთი ჩამგონებელი-კი არავინა ჰყავს ხალხს. თუ ვისმე ქონება შეუძლია და ამით მეტი პატივი მოუპოვებია ხალხში, ისინი თავიანთ კერძო საქმეებს გაუტაცნია და სასოფლო საქველ-მოქმედო საქმეს ყურადღებას არ აქცევენ.

ნიგოითელი

# წვრილი ამბები

— მინისტრ-პრემიერი ახალ სამხრეთვალლიისა, გენსი პარკერი, გაკოტრებულა. თუმცა ასეა, მაინც მინისტრის თანამდებობა და პალატაში ადგილი ხელშეუხებლად დარჩა თურმე. მკვიდრნი ფულს აგროვებენ თურმე, რათა მინისტრ-პრემიერი გაჭირვებულ მდგომარეობიდგან დაიხსნან.

— ესრედ წოდებულთ ცვლილების შემომღებთ ინდიანში, ცნობილთ „თეთრ ქუდიანის“ სახელით, ამას წინად ხალხი აულაპარაკებიათ გარრისონის მაზრაში. ეს „თეთრ ქუდიანები“ ღამე შესცვივნიან მომრიგებელ-მოსამართლეს გელდებრანდტს, რომელსაც მთელს მხარეში ყველანი პატივსა სცემენ თურმე, წამოუთრევიათ ლოგინიდგან, მიუბავთ ხეზე და იმდენი უცემიათ საბრალოსათვის მათრახებით, ვიდრე ცნობა-მიხდილი არ დაცემულა. წასვლამდე გამოუცხადებიათ ნაცემ მოსამართლისათვის: იმიტომ დაგსაჯეთ, რომ შენი მართლ-მსაჯულება არ მოგვწონსო. ამავე ღამეს ერთ სასტუმროს პატრონთან მისულან და უბრძანებიათ, რომ სასტუმრო დაჰკეტე, ნუღარ ივაჭრებო; შემდეგ გაუღვიძებიათ ფოსტათა დირექტორი, უამბნიათ ყოველივე ზემოხსენებული და ასი მათრახი დაურტყავთ, რათა ჩვენ მიერ ჩადენილი ამბები გაავრცელოსო. რამდენისამე დღის შემდეგ თავზედ დასცემიან ერთს ახალგაზდა ქვრივს, რომელიც ხელ-ახლად თხოვდებოდა თურმე, და დიდის მუქარით დაუშლევინებიათ კვლავ გათხოვება. ასე ირთობენ თურმე თავსა თავისუფალნი ამერიკელნი.

— გაზ. „Temps“-ში შემდეგი პატარა ამბავია ნაამბობი: „გუშინ საღამოს 9 საათზე მონმარტის უბნის კუთხეში დავინახე ერთი მოხუცი ჭაღარა წვერით, რომელიც გამვლელ-გამომვლელთ თავს უკრავდა და აბეჭდილ რეკლამებს აწოდებდა. ამ მოხუცის კეთილშობილმა სახემ ცნობის-მოყვარეობა აღმიძრა და მივუახლოვდი. ამ დროს მოხუცს ორი მშვენივრად ჩაცმული ქალი ელაპარაკებოდა. „აბა, როგორა ხართო?“ ჰკითხა ერთმა ქალმა.—„გმადლობთ, ვცხოვრობ როგორც არის, ღვთის წყალობით. აი თქვენ-კი გეშინიანთ, რადგან ფეხ-მძიმედა ყოფილხართ. ნუ გეშინიანთ, სხვა იმის მეტი არა იქმნება-რა, რომ სამშობლოს მამულიშვილს აჩუქებთ. თქვენ, მიუბრუნდა მეორეს,—ჯერ გათხოვილი არა ხართ და ჩქარა-კი გათხოვდებით“. ქალებმა მადლობა გადაუხადეს წინასწარმეტყველობისათვის და ორ-ორი აბაზი აჩუქეს. მივედი პოლიციის ჯარის-კაცთან და ვკითხე: ვინ არის ეს მოხუცი-მეთქი და პოლიციელმა ღიმილით მიპასუხა: მაგ მოხუცს მთელი ნახევარ პარიჟი იცნობს და განსაკუთრებით პოლიცია. ეგ მოხუცი ას ოთხის წლისაა, მაგრამ ისეთივე ღონიერი და მხნეა, როგორც ამ ოთხმოცის წლის წინადა ყოფილა. მოწყალებას არა თხოულობს, ხოლო თუ ვინმე რასმე ჰკითხავს, დალოცავს ხოლმე და კეთილს პასუხს მისცემს. ამითი ცხოვრობს და ჩვენ არასოდეს ხელს არ ვახლებთ ხოლმე. ამ ოთხის წლის წინად მაგ მოხუცმა თავის ასის წლის დაბადება იდღესასწაულა და ამ დღესასწაულზედ მიიწვია თავის მეგობრები, შვილები, როგორც თითონ იტყვის ხოლმე, ისინიც ოთხმოცისა და ოთხმოც-და-ათის წლის მოხუცებულები. ეს საზოგადოება დიდის ამბით მივიდა ერთს სასტუმროში და შემწვარი ბატი შეუკვეთეს. ბატთან, რასაკვირველია, ღვინოებიც დიდძალი მოატანინეს. ასის წლის მეიუბილეე ძალიან ბევრს და მადიანად სჭამდა; „შვილები“-კი ულოცავდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ. საღამოზედ მოხუცი თავის ჩვეულებრივს ადგილზედ იყო და ისევ რეკლამებს არიგებდა“.

— არაკი მეტის-მეტად ნაყოფიერ ისპანიის ქალზედ. ვიღაც Henrigue Cock-ს, ისპანიის მეფის ფილიპე II მდივანს, რომელიც მეფეს თან ახლდა სარაგოსსა, ბარსელონსა და ვალენსში მოგზაურობის დროს, აუწერია ეს მოგზაურობა ცალკე წიგნად. ამ წიგნის მე-248 გვერდზედ შემდეგი ადგილია თურმე სხვათა შორის: „Margarita Gonzaler“-ი, ერთის ბისკაელისა და ფრანგის ქალის ქალიშვილი, 11 წლისა მისთხოვებია 40 წლის კაცსა და 13 წლის განმავლობაში ამ ქმრისაგან ჰყოლია სამოც-და-თვრამეტი ვაჟიშვილი და შვიდი ქალიშვილი. ყველა ეს უმაწვილები ვალენსში დაბადებულიყვნენ, დედის 15 და 35 წლოვანობის შორის. Cock-ს ეს ქალი 35 წლისა უნახავს და კვლავ ფეხ-მძიმედ. ამ ქალის 47 შვილს პირველ ქმრისაგან და 32 შვილს მეორე ქმრისაგან მართლ-მადიდებლობა მიუღიათ. დანარჩენი შვილები ან მკვდრები ჰყოლია, ან უდღეონი.

— ვენის ერთს მშვენივრად მორთულს სადგომში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა. დარბაზში შეკრებილა დიდძალი საზოგადოება, რათა დასწრებოდნენ ახალგაზდა და ლამაზის ქალის და ვენგრიის მამულთ-მეპატრონეს ჯვარ-წერას. სტუმრები და სასიძო დიდხანს ელოდნენ თურმე საპატარძლოს, რომელიც ახალ მოდაზედ გაკეთებულ ხელთათმანის ღილებს იკრავდა. ამ ხელთათმანს არც მეტი და არც ნაკლები, სულ ოთხმოც-და-თერთმეტი ღილი ჰქონდა. ყოველ თხუთმეტ წუთში მოახლე ატყობინებდა თურმე სტუმრებს, როდის იქნება პატარძალი მზადაო. ის იყო საპატარძლო ათავებდა თურმე ღილების შეკვრას, რომ ამ დროს მოახლე გამოვიდა და შეატყობინა სტუმრებს: საპატარძლოს ხელ-თათმანს ღილები მოსწყდაო! აქ-კი მოთმინებიდგან გამოვიდა თურმე სასიძო, გამოვარდა სახლიდგან და წავიდა; შინიდგან მოუწერა, რომ იმდენი მოთმინება არა მაქვს, რაც ქმრისათვისა ყოფილა საჭირო, და ამიტომ ვერ შეგირთავთო.

# დეპეშა

27 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გიორგის კავალერთა დღესასწაულმა ჩვეულებრისამებრ დიდის ყოფით და ამბით ჩაიარა. „Гражданинъ“-ი გვაუწყებს, რომ საზამთრო სასახლეში სადილზე ხელმწიფე იმპერატორმა ადღეგრძელა უუხუცესი კავალერი გიორგისა, იმპერატორი ვილჰელმი და ყველა კავალერნი გიორგისანიო.

ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა მთავარ-ეპისკოპოსი პოლტავისა და პერეიასლავისა იოანე და მის მაგიერ დაინიშნა პოლტავისა და პერეიასლავის ეპისკოპოსად პრილუკის ეპისკოპოსი ილარიონი.

გამოცხადებულ იქმნა, რომ დროებით, ორის წლის ვადით, გავრცე-

ლებულ იქმნას იმიერ-კასპიის ოლქაში წესნი კანონთა კრებულისანი სასმელებისა და თამბაქოს ბაჟის თაობაზედ.

„Биржевыя Вѣдомости“ გვაუწყებს, რომ 24 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დადგენილობა მინისტრთა კომიტეტისა იმის თაობაზედ, რომ ფინანსთა სამინისტროს უფლება ჰქონდეს საცდელად ორის წლის განმავლობაში ნება მისცეს ხოლმე არაყის სახდელ და სპირტის მწმენდავ ქარხანათა პატრონებს გაიტანონ სპირტი საზღვარ გარედ ბეის წარუდგენელად; ნება მიეცეს აგრეთვე სამინისტროს არ იანგარიშოს ის ძალა სპირტისა, რაც გზის გამო დააკლდება, როგორც გამოცხადებულია ესა იმ წესებში, რომლებიც შედგენილია სპირტის საზღვარ-გარედ გატანის წასახალისებლად. მხოლოდ სამინისტრომ საჯზაო პრემია-კი უნდა იანგარიშოს იმის გარეშე, თუ რამდენი დღე დარჩება გზაში გაგზავნილი საქონელი.

„Новое Время“ ამბობს, რომ სახელმწიფოს საბჭოს წევრთათვის დარიგებულს პროექტში სპიჩკაზე ბაჟის დაწესების თაობაზედ, სწერია: დაედოს ბაჟი რუსეთში მომზადებულს სპიჩკას 1/4 კაპ., თუ გუდაში 75 ცალია და 1 კაპ., თუ 75-ზე მეტია და 300-მდე არის. ხოლო თუ სპიჩკა საზღვარ-გარეთისაა—1 კაპ. პირველ შემთხვევაში და 2 კაპ.—მეორე შემთხვევაში. მერე იმ ქარხნებს, რომელშიაც ხელით არის მუშაობა, უნდა გამოერთვას 50 მან. საპატენტო გარდასახადი წელიწადში, ხოლო თუ მაშინებით—150 მან. დასასრულ, პროექტში სწერია, რომ კანტროლს უნდა დაექვემდებაროს ყოველივე გაძზიდ-გადმოზიდვა ფოსფორისა.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, ფერდიუსონმა, გუშინ გილფორდის კონსერვატორთა საზოგადოებაში სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში მინისტრის ამხანაგმა გამოაცხადა, რომ არაფერი არ გვაძლევს მიზეზს ვიფიქროთ, ვითომ ეს, ან ის სახელმწიფო ომს იყოს მოწადინებული, ან ჯარი გადაჰყ-გადმოჰყავდეს ჩვეულებრივს რიცხვზედ უმრავლესს, იმ ზომამდე, რომ ევროპის მშვიდობიანობას რაიმე საფრთხე მოელოდდეს. არა, ამ მხრივ ჯერჯერობით საფიქრებელი არა არისრაო.

ვენა. გუშინ, იმპერატორის თავმჯდომარეობით, იყო სამხედრო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: ერც-ჰერცოგი ალბრეხტი, გრაფ კალნოკი, სამხედრო მინისტრი, შტაბის უფროსი და რამდენიმე უფროსი ოფიცერი გენერალის შტაბისა. თათბირმა სამს საათს გასტანა. ოფიციოზური გაზეთი „Post“-ი დარწმუნებით ამბობს, რომ თათბირს საგნად გალიჩინის საზღვრებზე მხედრობის გაძლიერების პროექტის განხილვა ჰქონდა და გადასწყვიტა, რომ ჯერ-ჯერობით გალიჩინა არ გაამაგრონ და მხედრობა არ გააძლიერონ, რათა ის არ იფიქრონ, ვითომ ავსტრია საომრად იწვევს ვისმეო. ხოლო თუ რუსეთი კვლავ განაგრძობს საზღვრის გაძლიერებას, ავსტრია იმ წამსვე შესაბამს და სათანადო ღონეს იხმარებსო.

ნიუ-იორკი. ანარხისტს მოსტს ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

პარიჟი. ახალი სამინისტრო ჯერ კიდევ არ შემდგარა; ზოგნი ამბობენ, რომ გობლემ უკვე შეადგინა კაბინეთიო, მეორენი-კი ამტკიცებენ, რომ გობლემაც უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზედ, რის გამოც კარნოს განზრახვა აქვს, რუვიეს სამინისტრო აღარ გადააყენოს სამსახურიდგანაო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ წინანდებრივ 50 მან. მიეცემათ საჩუქრად იმათ, ვინც დაიჭერს ისეთს ებრაელს, რომელიც სამხედრო ბეგარის დროს არ გამოცხადებულა და არ უკისრნია ეს ბეგარაო.

უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი პოლკოვნიკის მედვედოვსკისა, კოლეჟსკის სოვეტნიკის სტეფანოვიჩისა და სხვათა, რომელთაც განაჩენი შეუდგინა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ და რომელთაც ჰბრალდებოდათ ბოროტ-მოქმედების ჩადენა იჯარით შეკვეთილ საქონლის ჩაბარების დროს, და ბრალდებულთა საჩივარი არ შეიწყნარა.

პარიჟი. გობლეს უარის თქმის გამო კაბინეთის შედგენაზედ, ფალიერმა, კარნოს თხოვნით, ითავა შედგენა ახალის კაბინეთისა, რომელშიაც სხვათა შორის მოჰყვებიან ზოგიერთნი წევრნი ეხლანდელის სამინისტროსანი.

28 ნოემბერი

პეტერბურგი. სამხედრო დაწესებულების მიმართ ბძანებაში მოხსენებულია, რომ 13-ი ცხენოსანი დივიზია, მოსკოვის ოლქიდამ გადაყვანილი ვარშავის სამხედრო ოლქაში, მასთან ყოფილ ცხენოსან არტილერიის ბატარეიებით პირდაპირ უნდა ექვემდებარებოდეს მთავარ-მართებელს ვარშავის სამხედრო ოლქისას.

„Новое Время“ იუწყება, რომ პროექტი იწერებაო, ვითომც გამგეობა საეკკლესიო შემოსავალ-გასავლისა ამას იქით მიენდობა განსაკუთრებულს საეკკლესიო-სამრევლო საბჭოს, რომელიც უნდა შედგენილ იქმნას ეკკლესიის კრებულთაგან და მრევლის მიერ ამორჩეულთაგან. თავმჯდომარედ ეყოლებათ მოძღვარი. ეკკლესიის მნათენი-კი ამას იქით მარტო აღმასრულებელნი ორღანონი იქმნებიან.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ რაკი სავაჭრო და სამრეწველო საქმეებზედ გადასახადი მოემატა, განზრახვა აქვთო შემოღებულ იქმნან სავალდებულო დავთრები გადასახადის აღსარიცხავად. გადასახადის განაწილების შესახებ განზრახვა აქვთ მოიქცნენ ისე, რომ ყოველმა ცალკე სავაჭრომ და სამრეწველო საქმემ წმინდა მოგებიდამ იხადოს არა უმეტეს 2,29%-ისა. გადასახადის მომატებისაგან განთავისუფლებულ იქმნებიან თურქესტანისა და პრიამურის საგენერალ-გუბერნატორონი და იმიერ კასპიის მხარე.

ოდესა. დღეს ინგლისიდან მოელოდებიან ახალს ცეცხლის გემს, რომელიც ეკუთვნის ახლად დაწესებულს საზოგადოებას, „Россійскаго общества транспортированія кладей“. დეკემბერში ეს საზოგადოება დაიწყებს გემების ტარებას შავისა და აზოვის ზღვის შორის.

სევასტოპოლი. გუშინ ჩაუშვეს კანონირთა ნავი „Уралецъ“.

პარიჟი. ახალ სამინისტროში შევლენ: რუვიე, ფლურანსი და ფერრონი. დანარჩენებისა ჯერ არა გადაწყვეტილა-რა. სრულად შედგენა სამინისტროსი ძნელია თუ,—ორშაბადზე ადრე მოხდეს.

ბერლინი. კანონ-პროექტი ლანდვერისა და ლანდშტურმისა თვითეულს მათგანს ორ რიგადა ჰყოფს: პირველის რიგისათვის სამსახურის ვადა ისევ ხუთის წლით იქნება და მეორე რიგისათვის ეგ ვადა არ მოისპობა, ვიდრე ჯარის კაცი 39 წლისა არ შეიქმნება. პირველს რიგს ლანდშტურმისას ექვემდებარება ყველა, ვისაც-კი არ შეჰხვედრია ჯარში სამსახური, ვიდრე 39 წლისა არ შესრულდება, და მეორე რიგში მოქცეულ იქმნებიან ყველანი სამსახურიდამ გასულნი მხედარნი 39 წლისანი, ვიდრე 45 წლის ასაკში არ ჩასდგებიან.

პეტერბურგის ბირჟა, 27-ს ნოემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — » | — » | 9 4 |
| ტამოჟნის კუპონები. . | — » | — » | 180 1/2 |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . . | — » | — » | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი. . . . . . | — » | — » | 275 3/4 |
| — მეორისა. . . . | — » | — » | 246 1/4 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . | — » | — » | 98 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა. . | — » | — » | 99 |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . . . | — » | — » | 83 |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ(1887) წელიწადია: ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

**29 დღე კვირა.** წმ. მოწ. პიარამონისა, ფილუმენისა, ღირსისა აკაკისა და წმ. დიდის მოწამე აბიბო ეპისკოპოსისა. კათოლ. 1-ლი კვირა ადვენტისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —შაჰ-ნადირი გაემართა სალაშქროდ ინდოეთში. შაჰთან ბრძანდებოდნენ ბატონიშვილი ერეკლე და წარჩინებულნი ქართლისა და კახეთის თავადნი, 1738 წ.—გენერალი ინფანტერიისა გრ. მურავიოვი 1-ლი დაინიშნა კავკასიის მთავარ-მმართებლად, 1854 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—30. მთვარე 27 დღისაა.

**30 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა, ფრუმენტი ეპის. კათოლ. წმ. მოციქ. ანდრიასი. სომეხ. წმ. ეპისკ. გენარიოსისა და მეომარის მერკურიოსისა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ბატონიშვილს საქართველოსას, ბაქარს ვახტანგის ძეს, პირდაპირ მიეცა ხარისხი გენერალ ლეიტანენტისა რუსეთის არტილერიის ჯარში, 1729 წ.—თ. ვარანცოვმა იშუამდგომლა, რომ პროგრამა გამოეცვალოს „Закавказскій Вѣстникъ“-ს, რომელიც ტფილისში იბეჭდებოდა, 1845 წ.—გამოცხადდა ბრძანება სენატისა 1884 წ, რომ ამიერ-კავკასიის ქალაქებში შემოღებულ იქმნას უმაღლესად დამტკიცებული საქალაქო დებულება.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—31. მთვარე 28 დღისაა.

## საუნჯე ქართულის ენისა.

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა, რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

## კერძო განცხადებანი


ШОКОЛАТЪ С. СІУ и Ко (50—1)

1888 წლის 1 იანვრიდგან გამოიცემა სამეურნეო გაზეთი

„მეურნე“

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთის პროგრამა: 1) მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ; 2) სამეურნეო ეკონომია; 3) ცალკე წერილების საგანი იქნება: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, ბოსტნის მოყვანა, ვენახის გაშენება, საქონლის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოშენება და საზოგადოდ ყოველ გვარი სამეურნეო საგანი; 4) სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთმოძღვრება (არხიტექტურა) და მეხანიკა; 5) ბეითალობა (ვეტერინარია) და სოფლის ჰიგიენა; 6) მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები; 7) განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში. 8) სამეურნეო ბიბლიოგრაფია; 9) სოფლის ნაწარმოების ბაზრები; 10) ცნობანი, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვა; 11) მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა; 12) ნარევი; 13) კითხვა-პასუხი; 14) სურათები; 15) გამოსადეგი ადრესები; 16) განცხადებანი, და 17) დამატება, სადაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

მთელის წლის ფასი გაზეთისა 4 მანეთია, ნახევარ წლისა—2 მან. და ათი შაური. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ ამ ფასს უნდა დაუმატონ ფოსტის ფულად წელიწადში 1 მან. და ნახევარ წელიწადში,—ათი შაური.

ვისაც გაზეთის დაბარება ჰსურს, უნდა მიჰმართოს: ტფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას; ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთა—თვითონ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція газеты „Мэурнэ“, на Реутовской ул., д. Сулханова, № 10.

რედაქტორი-გამომცემელი ვასილ ხულხანიშვილი.



ჟირარდოვის მანუფაქტურების

უმთავრესს საწყობში

არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 4, 5, 30, 32, და 57

მიღებულია დიდ-მალი სხვა-და-სხვა გვარი მატერია და ტილოეული, სახელდობრ:

წმინდა თეთრი ტილო დედაკაცთა და მამაკაცთა საცვლებისათვის.

სუფრის კუთვნილებანი 6, 12, 18 და 24 კაცისათვის, სუფრები, სალფეტები, პირ-სახოცები, ცხვირ-სახოცები ტილოსი და ბატისტისა.

ლეიბის გადასაკვრელი მატერიები, პარუსინა ტომრებისათვის და მზა-მზარეული ტომრები.

წვიმა-მიუკარებელი ტილოები ბრეზენტებისათვის და თვით მზა-მზარეული ბრეზენტები ყოველ გვარის სიდიდისა და სხვანი, და სხვანი და სხვანი.

ბამბეულობა საკუთარის ფაბრიკიდამ, როგორც მაგალითებრ: მადაპოლამ, დომესტიკ, კრეას, ტიროლის სხვილი ტილო და აგრეთვე ბამბის ტიკი საცვლებისათვის.

განყოფილება წინდებისა და ჩულქებისა:

მატყლისა, აბრეშუმისა, ფილდეკოსისა და ბამბისა, პერანგები, პერანგის ამხანაგები და ფუფაიკები, ქალებისა და ყმაწვილების ჩულქები და წინდები. შალის პერანგები და პერანგის ამხანაგები, პროფესსორის ეგერის პრილობით შეკერილი და სხვა და სხვა და სხვათა.

განყოფილება ბაქოშია, ოლგის ქუჩაზე, სახლი ბალაბეგ ლალაევისა.

დონნერი და ლეიტცი

(3—3)